# აპნ-ის მხატვრულ ტექსტში ფუნქციობის ძირითადი ასპექტები

**მარიამ ჩიქოვანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail:mariam.chikovani@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac

*სტატიაში განხილულია არასაკუთრივ - პირდაპირი ნათქვამის ფუნქციური სპექტრი, მისი ადგილი ტექსტის ნარატიულ სტრუქტურაში, მისი როლი მხატვრული სახეების იერარქიული სისტემის შექმნასა და დეკოდირებაშინ სადაც მჟღავნდება არასაკუთრივ - პირდაპირი ნათქვამის მონაწილეობის მექანიზმი ამ სისტემის ცალკეულ რგოლში.*

*არასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამი მხატვრული ტექსტის ორგანული ნაწილია და უკავშირდება საავტორო თხრობასნ რაც ხორციელდება როგორც ტექსტის ზედაპირზე, ისე ტექსტის სიღრმეში. არასაკუთრივ - პირდაპირი ნათქვამი სიღრმისეული კონტამინაციის საშუალებით ახორციელებს პერსონაჟის ინდივიდუალური სივრცის ჩართვას მთხრობელის ინდივიდუალურ სივრცეში. შედეგად ხდება მთხრობელის ინდივიდუალური სივრცის სუბიექტიზაცია და პერსონაჟის ინდივიდუალური სივრცის ობიექტიზაცია. ტექსტის ერთი სეგმენტის ჩარჩოში ხორციელდება მთხრობელისა და პერსონაჟის სახეთა სინთეზი. იქმნება სინთეზური სახე, რომელშიც ავტორის სახეც ჩანს.*

*ამგვარად, არასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამი დამოუკიდებელი სტრუქტურა და სტილისტური ხერხია, რომელიც ხელს უწყობს პერსონაჟის მხატვრული პორტრეტის შექმნას ტექსტის სეგმენტის შიგნით და ამავე დროს ინარჩუნებს ტექსტის მონოლოგურ ერთიანობას.*

**საკვანძო სიტყვები:** პირდაპირი ნათქვამი, მხატვრული ტექსტი, ფუნქციური სპექტრი.

აპნ-ის გამოყენების სფერო უმთავრესად მხატვრული ტექსტია, რომლის სამეტყველო სტრუქტურაში ამ მოვლენას თავისებური ადგილი უჭირავს და, როგორც სტილისტური ხერხი, ის გულისხმობს ფართო ფუნქციურ სპექტრს. აპნ ახორციელებს პერსონაჟის "სიტყვის" ან კიდევ ცნობიერების შინაარსის მხატვრულ ტრანსფორმაციას. იგი ხელს უწყობს პერსონაჟის პორტრეტის შექმნას ტექსტის სეგმენტის შიგნით და ამავე დროს ინარჩუნებს მის მონოლოგურ ერთიანობას.

ვ. ვინოგრადოვის თანახმად, “ავტორის სახეს” განვიხილავთ როგორც მხატვრული ნაწარმოების “ღერძს”, “ფოკუსს”, რომელშიც ხდება ნაწარმოების ყველა სტილისტური ხერხის სინთეზი [ვინოგრადოვი,1980: 26]. “ავტორის სახის” თავისებურება მოიცავს 1) ინტეგრაციული მნიშვნელობით ტექსტის მთლიანობის მისაღწევად საჭირო მხატვრული აზროვნების ყველა ელემენტს; 2) გაუთვალისწინებელისა და გათვალისწინებულის შეთანხმებას [გონჩარო-ვა,1984:147]; 3)ხელოვნების ხერხებისა და კანონების საშუალებით ავტორის ორგანიზებასა და ობიექტიზაციას. “ავტორის სახის” გარდა შეინიშნება “მთხრობელის სახე” [ბრანდესი, გონჩაროვა, კუსკო], რომელიც წარმართავს ლიტერატურულ თხრობას. იგი მერყეობს და ზოგჯერ ისე ფართოვდება, რომ “ავტორის სახეს” უახლოვდება. “მთხრობელის სახე” საშუალებაა, თუ როგორ არის ამბავი ნაწარმოებში მოთხრობილი. ავტორი, როგორც შემოქმედი, მიმართულია შინაარსისკენ, რომელსაც იგი ქმნის და სრულყოფს სიტყვიერი მასალის გამოყენებით და აწესრიგებს მისი მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მთხრობელი კი, როგორც შინაარსის ტრანსლატორი, მიმართულია ადრესატისკენ. იგი ხელს უწყობს შექმნას და სრულყოფილი გახადოს ზემოქმედების ფუნქცია, რისთვისაც მიზანმიმართულად იყენებს ენობრივ მასალას [ ბახტინი,1979:423].

ტრადიციულად გამოიყოფა თხრობის ორი ტიპი: 1) თხრობა პირველ პირში, 2) თხრობა მესამე პირში. მათ გააჩნიათ გარკვეული ლინგვისტური ბაზა, რომელიც იქმნება ლექსიკური, მორფოლოგიური დონის ნიშნებით. ე. გონჩაროვას ნაშრომში გამოიყოფა თხრობითი მეტყველების შემდეგი ტიპები: სუბიექტიზებული თხრობა და ობიექტიზებული თხრობა [გონჩაროვა,1984:147]. სუბიექტიზებულ თხრობაში იგი გულისხმობს ეპიკური ტექსტის ტიპს, რომელშიც აღწერა ვითარდება პირად სუბიექტურ პლანზე, ან ტექსტში დასახელებულ მთხრობელზე დაყრდნობით, ან ერთ-ერთი მოქმედი პირის საშუალებით, რომელიც ამავე დროს მთხრობელიცაა. მთხრობელის სამეტყველო სტრუქტურა იგება მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის საფუძველზე.

ობიექტიზებულ თხრობაში კი გულისხმობს ეპიკური ტექსტის ტიპს. ტექსტის ამ ტიპისათვის დამახასიათებელია მესამე პირში თხრობა. ავტორი-მთხრობელის კატეგორიების ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, ბევრი მკვლევარი, მათ შორის ვ.ოდინცოვი [ოდინცოვი, 1973:104] და ვ.კრასიანსკი [ვ.კრასიანსკი,1973], გვთავაზობს მხატვრული-თხრობითი ტექსტების უფრო გაფართოებულ ტიპოლოგიას. “მთხრობელის სახე” არის ავტორის ასახვის ობიექტი და, ვ. ვინოგრადოვის დებულებით, ავტორსა და მთხრობელის

სახეს შორის არსებობს დისტანცია, რომლის მასშტაბი დამოკიდებულია ტექსტის სუბიექტურ-მეტყველებითი ორგანიზების ხასიათზე, გამოყოფენ მთხრობელის შემდეგ ტიპებს: 1) მთხრობელი-ავტორი, 2)მთხრობელი-დამკვირვებელი, 3)მთხრობელი-პერსონაჟი. მთხრობე-ლი-ავტორი ავტორთან მაქსიმალურად დაახლოებულია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეტყველების გრამატიკული სუბიექტისა და ინფორმაციის სუბიექტის დამთხვევა. მთხრობელი-ავტორისაგან მომდინარე ინფორმაციას აქვს გარკვეული შემფასებლური ხასიათი. მთხრობელი-დამკვირვებელი ტიპის მთხრობელის განმასხვავებელი თვისებაა მის მიერ შეტყობინებულ ინფორმაციაში მოდალობის სრული გაქრობა, რომლის მასშტაბი და ხასიათი განპირობებულია გარეშე დამკვირვებლის სტატუსით, რომელიც აღწერს მოვლენებს.

მთხრობელი-პერსონაჟი ხასიათდება ტექსტის სუბიექტურ-მეტყველებითი ორგანიზებისათვის საჭირო სხვადასხვა კატეგორიის განსაკუთრებით რთული ფორმების ურთიერთქმდებით. ტექსტში მეტყველების გრამატიკული სუბიექტი თავის მხრივ წარმოადგენს დამკვირვებლის უკიდურესად რედუცირებულ ფორმას. ეს უპიროვნო მთხრო-ბელია, რომელიც განსახიერდება მხოლოდ III პირში თხრობისას და ზმნის დროის ფორმის ზოგიერთი განსაკუთრებული გამოყენებისას. ამ დროს ინფორმაციის სუბიექტია პერსონაჟი. ეს უკანასკნელი ტერმინი არ შეესაბამება მთხრობელის მოცემულ ტიპს, რადგან იგი არ ასახავს თხრობის იმ სახესხვაობის ბუნებასა და შინაგან სტრუქტურას, რომლის საფუძველზეც გამოიყოფა მოცემული ტიპი. ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც “კონტამინირებულ” თხრობას, რომელშიც ორი სამეტყველო პერსპექტივის რეალიზება ხდება და შესაბამისად განაპირობებს ორი სამეტყველო სივრცის აღქმას. მთხრობელი ინფორმაციის კოდირებისას ინარჩუნებს “პირველადი მეტყველებისთვის” დამახასიათებელ ყველა პარამეტრს. იგი ცდილობს შექმნას მაქსიმალურად ზუსტი სურათი ისე, როგორც ეს ხდება პერსონაჟის გარე სამყაროს ასახვისას. აუცილებელია ვილაპარაკოთ არა “მთხრობელ პერსონაჟზე”, არამედ მთხრობელზე, რომელიც პერსონაჟის “როლს ასრულებს”. კლასიფიკაცია უფრო ზუსტი იქნება, თუ ფორმულირებას ასე მოვახდენთ: 1) მთხრობელი-მაქსიმალურად დაახლოებული ავტორთან; 2) ნეიტრალური მთხრობელი; 3) მთხრობელი-მაქსიმალურად დაახლოებული პერსონაჟთან.

მხატვრული პროზის ევოლუციის პარალელურად იცვლება თხრობის მანერა და შესაბამისად “ავტორის სახე” და “მთხრობელის სახე”. სენტიმენტალიზმისა და რომანტიზმის

წინა პერიოდმა ხელი შეუწყო თხრობაში სუბიექტივიზმის დამკვიდრებას; ავტორი, როგორც მთხრობელი-კომენტატორი, თანდათანობით ქრება. ჩნდება ახალი ფორმები, რომლებიც განაპირობებენ ესთეტიკური პრინციპების განხორციელებას.

პერსონაჟის სახე არის III დონე მხატვრული ტექსტის ურთიერთმოქმედი სახეების იერარქიულ სისტემაში. პერსონაჟის სახის გახსნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მ.ბახტინის განსაზღვრებით, პერსონაჟის "სიტყვა". თანამედროვე ეტაპზე პერსონაჟის "სიტყვა" მხატვრული ტექსტის ქსოვილში ერთვება პირდაპირი, ირიბი და აპნ-ის საშუალებით. პერსონაჟის ხასიათის გახსნა მის სამეტყველო სტრუქტურაში ხდება გარკვეული ენობრივი მასალის, ერთის მხრივ, ლინგვოსტილისტური ინტენსიფიკაციით და, მეორეს მხრივ, სემანტიკურად და სტილისტურად არაერთგვაროვანი ენობრივი ერთეულების რაოდენობრივი დაგროვებით.

ამგვარად, მხატვრული ტექსტის შექმნის პროცესში რეალური ავტორი ქმნის სახეების იერარქიას. თითოეული მათგანი გამონაწევრდება მხატვრული ტექსტის დეკოდირების პროცესში და აღიქმება როგორც ერთიანი სამეტყველო ნაწარმოები.

ჩვენი აზრით, მხატვრული ტექსტის სამეტყველო სტრუქტურა არის ტექსტის "ზედა-პირი", რომელიც გამოავლენს მის "სიღრმეს". ნაწარმოების "სიღრმეში" ყოველ სახეს შეესაბამება გარკვეული პერსპექტივა - ავტორის, მთხრობელისა და პერსონაჟის. მთხრობელის და პერსონაჟის პერსპექტივას აქვს გარკვეული ენობრივი სუბსტანცია. ავტორის პერსპექტივა კი იშვიათად აღიქმება უშუალოდ - იგი მიიღწევა შინაარსობ-რივ-კინცეპტუალური ინფორმაციის გახსნის პროცესში [გალპერინი,1958:453]. მხატვრულ პროზაში არსებული თხრობითი პერსპექტივების შესასწავლი სახესხვაობები სპეციალურ ლიტერატურაში პირობითად დაიყვანება ორ განმაზოგადებელ სახემდე: შეუზღუდავი თხრობითი პერსპექტივა და შეზღუდული ანუ კონცენტრირებული თხრობითი პერსპექტივა [გონჩაროვა,1989:90]. რამდენადაც ტექსტს განვიხილავთ როგორც ზედაპირული და სიღრმისეული განზომილებების ერთობლიობას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ვილაპარაკოთ ზოგადად პერსპექტივაზე, რომელიც სამეტყველო მახასიათებლების გარდა მოიცავს გამოყოფილი "სახის" (образ) სხვა პარამეტრებსაც.

ამგვარად, მხატვრული ტექსტი ეს არის მონოლითური მთლიანობა, გააჩნია გარკვე-ული აზრობრივი და სამეტყველო სტრუქტურა, რომელიც შედგება სხვადასხვა სამეტყველო პლანისაგან; თითოეულ სამეტყველო პლანს შეესაბამება თავისი თხრობითი პერსპექტივა,

რომელიც არსებობს როგორც საერთო პერსპექტივის ან "პოზიციის" ნაწილი. თითოეულ პერსპექტივას შეესაბამება თავისი საორიენტაციო ღერძი. შედეგად ისინი ქმნიან ინდივიდუალურ სივრცეს. ცალკეულ ინდივიდუალურ სივრცეთა ერთობლიობა ქმნის მთელი ტექსტის მხატვრულ სივრცეს. ცალკეული ინდივიდუალური სივრცეები არ არსებობენ ჩაკეტილად.

ამ ფონზე ფუნქციური სპექტრი - ესთეტიკური ზემოქმედების მექანიზმი - აპნ-ის ფორმები მხატვრულ მთლიანობაში - შემდეგნაირად გამოიყურება: აპნ-ის საშუალებით ხდება პერსონაჟის ინდივიდუალური სივრცის ჩართვა მთხრობელის ინდივიდუალურ სივრცეში. შედეგი ასეთია: 1) ხდება მთხრობელის ინდივიდუალური სივრცის სუბიექტიზაცია და 2) პერსონაჟის ინდივიდუალური სივრცის ობიექტიზაცია. ტექსტის ერთი სეგმენტის ჩარჩოში ხორციელდება მთხრობელისა და პერსონაჟის სახეთა სინთეზი. იქმნება, სინთეზური სახე, რომელშიც ავტორის სახეც ჩანს. აპნ-ის საფუძველზე ხდება სამი ინდივიდუალური სივრცის შერწყმა - წარმოიშობა მთელის სპეციფიკური მხატვრული სივრცე.

**ლიტერატურა:**


1. ლებანიძე გ., - კულტუროლოგიის საფუძვლები (ლექციების კურსი). "ენა და კულტურა". თბილისი. 2004.
2. მეგრელიშვილი მ., - ზმნის ფუნქციურ სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში. გვ. 119. თბილისი, განათლება. 1986.
3. საყვარელიძე ნ., - მონოლოგურ მეტყველებაში კითხვითი სტრუქტურების ექსპრესიული ხასიათი. "უცხოური ენები სკოლაში", #3, 1972.
4. Crystal D., - "An Encyclopedic Dictionary of Language and Languages". Cambridge, Massachusetts 02142 . USA. 1992.
5. Humphrey R., - Stream of Consciousness in the Modern Novel University of California Press, Berkley and Los Angeles. 1965
6. Leech Geoffrey N., Short Michael H., - "Style in Fiction". A linguistic introduction to English fictional prose. Longman Group Limited. 1981.
7. Wierzbicka A., - "The Semantics of Direct and Indirect Discourse". Papers in Linguistics. vol. 7. 1974.
8. Виноградов В. В. – – О теории художественной прозе. Стиль "Пиковой дамы". Проблема сказа в стилистике. Избранные труды. О языке художественной литературы. 26с. Москва. Наука. 1980.

9. Виноградов В. В. – О теории художественной речи. Москва. Высшая школа. 1981.

10. Гончарова Е. А. – Пути лингвистического выражения категории автор-персонаж в художественном тексте. Изд. Томск. ун-та. 147с. Томск. 1984.

11. Одинцов В. В. – О языке художественной прозы. Москва. Наука. 104с. 1973.

12. Тюпа В. И. – Анализ Художественного Текста. Москва. Academia. 2006

**Mariam Chikovani**

Akaki Tsereteli Staste university

**Some features of the writer's language (Rezo Cheishvili)**

Abstract

The paper aims to illustrate the functional specter of represented speech, its representation in the structure of narration of a literary text, and its role in forming and decoding the hierarchy of fictional images (the fictional image of an author, the fictional image of a narrator – the fictional image of a character). The process exposes a mechanism how the represented speech participates in the formation of individual images of the system. English prose makes apparent that represented speech is an inextricable part of a literary text and closely linked to authorial report. This connection is exhibited not only on the surface of the text but also in its deep structure. The process of deep contamination, as the basis of the concept of represented speech, allows the individual space of a character to be merged with that of a narrator. The result is as follows: The individual space of a narrator is subjectivised and the individual space of a narrator is objectivized. In one and the same text segment the unity of two individual images is created, where the image of the author is also perceived. It follows from this that represented speech is an independent structural form and stylistic device, which fosters to create the space of a character within a text segment and retains the unity of the text.